# ახალი ხარაგაული

305 (32) 7 დეკემბერი, 2015 წ

## ხარაგაულის გამგებელი საკრებულოს რამდენიმე ა(ა)იპ-ის გაერთიანებაზე მიმართავს

30 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, გამგებლის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას გამგებლის მოადგილეები: დავით დევდარიანი და თემურ ჩხეიძე, ასევე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვლადიმერ გელაშვილი, საფინანსო - სახაზინო განყოფილების უფროსი ნინო მაღლაკელიძე და კოორდინირების სამსახურის უფროსი გია ჭიპაშვილი ესწრებოდნენ.

შეხვედრის ძირითად თემას 2016 წლის ბიუჯეტი, სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებზე თანხების გამოყოფა და ა(ა)იპ-ების დაფინანსებისა და რეორგანიზაციის საკითხი წარმოადგენდა.

ბატონი კობა დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობს ბიუჯეტის განხილვის პროცესი სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში და რამდენად დიდია ხალხის ჩართულობა. ,,ყველას აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა ბიუჯეტის განხილვის პროცესში და საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს. ის შენიშვნები, რომლებიც საკრებულოდან მივიღეთ, აუცილებლად იქნება შესწავლილი და გაანალიზებული. რაოდენობრივი თვალსაზრისით, რასაც გაწვდება ჩვენი ბიუჯეტი, აქტუალური საკითხები იქნება გათვალისწინებული. მინდა გამოვეხმაურო იმ მოსაზრებას, თითქოს ხარაგაულის ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ჯარიმებზეა აგებული. ეს ასე ნამდვილად არაა. ჯარიმებში სხვა შემოსულობებიც იგულისხმება და აქ მარტო საგზაო ჯარიმებზე არაა საუბარი. თანხას, რომელიც კანონით ხელფასებზეა გაწერილი, ვერ შევეხებით, ხოლო დანარჩენი ხარჯები მინიმუმამდე გვაქვს დაყვანილი და მუდმივად იმაზე ვფიქრობთ, კიდევ რა შევამციროთ".

მუნიციპალიტეტის გამგებელმა წარმომადგენლებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ყველა მათგანი ვალდებულია, იცოდეს თავის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები თითოეული მოქალაქის გასაჭირი.

,,იყავით მაქსიმალურად ჩართულები და რეაგირება მოახდინეთ მოსახლეობის თითოეულ პრობლემაზე. ითანამშრომლეთ დეპუტატებთან. მივესალმები საკრებულოს დეპუტაციის იმ ნაწილს, რომელიც აქტიურად არის ჩართული ბიუჯეტის განხილვის პროცესში. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რა ფორმატით იქნა არჩეული და რომელ პარტიას მიეკუთვნება, ხალხის წინაშე ყველამ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა და ამის მოთხოვნაცაა, რომ განვითარდეთ პროფესიული კუთხით. ის, ვინც ვერ აუწყობს ფეხს თანამედროვე მოთხოვნებს, ცხადია, მის მიმართ რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება მოგვიწევს"- აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა ხარაგაულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს 7 მილიონზე მეტი ლარი დაიხარჯა. ბატონმა კობამ ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში" გამოყოფილ თანხებზეც ისაუბრა: ,,ძალიან ბევრი კრიტიკა მესმოდა იმასთან დაკავშირებით, რომ 150 000 ლარი „სოფლის მხარდამჭერი პროგრამიდან" კიცხში საზოგადოებრივი სახლის მშენებლობაზე გადავიტანეთ. არადა პროექტის



განხორციელება ერთგვარ შეღავათს მისცემს იმ ზონაზე მცხოვრებ მოსახლეობას. მათ საშუალება ექნებათ, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლონ ასზე მეტი სერვისით. ჩვენ სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულები. ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში" გამოყოფილი თანხებით თითქმის ყველა სოფელში მოიხრეშა გზა, მაგრამ გზები წვიმამ ჩამორეცხა და დღეს ისევ გასაკეთებელია. იქ, სადაც წყალი მძიმე მდგომარეობაში აგდებს გზას, კაპიტალურად შეკეთება სჭირდება, სხვა შემთხვევაში, ის ფუჭდება".

მუნიციპალიტეტის გამგებელი ა(ა)იპ ების მუშაობის საკითხსაც შეეხო და დასძინა, რომ 2016 წლისათვის ა(ა)იპ-ების მიერ მოთხოვნილი თანხები მათ მიერ რეალურად გაკეთებულ საქმეზე ბევრად მეტია: „ხალხური შემოქმედების სახლს" იმაზე მეტი დაფინანსება აქვს, ვიდრე გასულ წლებში ჰქონდა. მესმის პრეტენზიები, თითქოს გამგებელი „ხალხური შემოქმედების სახლს" დახურვით ემუქრება. მე არავის ვემუქრები, ვაპირებ, დავამყარო წესრიგი. „ხალხური შემოქმედების სახლს" ან „კულტურის ცენტრს" საინტერესოა, რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თუ ჩაუტარებია რაიმე ღონისძიება. ქალბატონმა ირინე ჩხეიძემ თოჯინების თეატრით მთელი ხარაგაული შემოიარა. ზოგადად თეატრის ფორმატში არაერთი აქტივობაა განხორციელებული, მაგრამ ეს მხოლოდ ინდივიდების დამსახურებაა. წარმატებით მუშაობს ხარაგაულის სამუსიკო სკოლა. ძალიან სასიამოვნოა, რომ მათ ჰყავთ ისეთი წარმატებული მოსწავლე და მომღერალი, როგორიც სალომე კვირიკაშვილია. სალომემ ბევრ წარმატებას მიაღწია და ხარაგაული ასახელა. ასევე გამოვყოფ ა(ა)იპ „რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს" და ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრს". აქტიურად მუშაობს მუზეუმიც. თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ რამდენიმე ა(ა)იპ-ის საქმიანობა გადასახედია. ჩვენ შევალთ საკრებულოზე ა(ა)იპ-ების გაერთიანების ინიციატივით. ხარაგაულს არ აქვს იმის რესურსი, რომ 17 ა(ა)იპი შეინახოს".

მუნიციპალიტეტის გამგებელმა თათბირზე ასევე ისაუბრა იმ პიროვნებებზე, რომლებიც ორ ადგილზე არიან დასაქმებული და აღნიშნა, რომ გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციით, ხარაგაულში ასეთი 44 ადამიანია. კობა ლურსმანაშვილის განცხადებით, მომავალი წლიდან ეს ასე აღარ იქნება. „არ შეიძლება ერთი პიროვნება იყოს დასქმებული ორ სამსახურში და სხვას ერთიც არ ჰქონდეს".

შეხვედრის დასასრულს, გამგებლის მოადგილემ, დავით დევდარიანმა, განცხადება გააკეთა სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებზე თანხების გამოყოფის საკითხზე. მისი ინფორმაციით, სტიქიით დაზარალებულთათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 145 000 ლარი გამოიყო და ეს თანხა, ძირითადად, დაზიანებულ სახლებზე, ხიდებსა და გზებზე გადანაწილდება.

მარიანა ბურჯალიანი

## ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის დღის ცენტრი ბენეფიციარებს იანვარში მიიღებს



1 დეკემბერს ხარაგაულში მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის „თაირისის" დამფუძნებელთან ირინე აბდალაძესთან ერთად ბორის სკოლა-პანსიონის ბაზაზე არსებული დღის ცენტრის რეაბილიტირებული ფართი მოინახულეს. სარემონტო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 35 ათასი ლარით დაფინანსდა. მოეწყო ინფრასტრუქტურა, გარემონტდა ოთახები, გაკეთდა სპეციალური პანდუსები. გამგებლის ინფორმაციით, 2016 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა დღის ცენტრისთვის ინვენტარის შესაძენად.

„სოფელ ვერტყვიჭალაში, სკოლის ბაზაზე, იგეგმება მეორე დღის ცენტრის მოწყობა. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს სტუმრებს მობრძანებისთვის, დახმარებისთვის. დიდი მადლობა ქალბატონ ინა ასანიძეს, რომელიც ყოველთვის გვერდში გვიდგას. საქართველოში ასეთი კეთილი საქმეები კეთდება და მომავალშიც გაგრძელდება" - განაცხადა კობა ლურსმანაშვილმა.

დღის ცენტრში 15 ბენეფიციარი გაივლის რეაბილიტაციის კურსს. ბავშვებთან იმუშავებენ სპეცპედაგოგები და ფსიქოლოგები. ცენტრი იანვრის თვიდან 6-დან 18-წლამდე ასაკის ბავშვებს გაუწევს მომსახურებას. ბორის საჯარო სკოლა-პანსიონი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლთან". აღსანიშნავია, რომ ფონდი სკოლის ბაზაზე არსებული დღის ცენტრის ბენეფიციარების კვებას თავად უზრუნველყოფს.

ამავე დღეს, არასამთავრობო ორგანიზაცია „მე დავბრუნდების" წარმომადგენელმა ქალბატონმა ინა ასანიძემ ეტლი გადასცა ხარაგაულში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 4 წლის მარიამ შარიქაძეს. ხოლო „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ორგანიზაციამ (დირექტორი მაია კვეზერელი) შშმ პირების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოთხი ბენეფიციარისთვის აქტიური ეტლი გამოაგზავნა. გარდა ამისა ბორის სკოლა-პანსიონში შშმ პირების მშობლებისა და აღმზრდელებისთვის ლექცია-სემინარი ჩატარდა. საქართველოს ყრუთა კავშირის ვიცეპრეზიდენტმა, მაია მეტონიძემ და პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა შშმ პირების საკითხებში, ამირან ბატატუნაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საერთაშორისო დღე მიულოცეს და ერთხელ კიდევ განმარტეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.

განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის „თაირისის" დამფუძნებელმა ირინე აბდალაძემ განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ხარაგაულის გამგებლის მიმართ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის მხარდაჭერისთვის. „ჩვენს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელია. მათ იგივე უფლებები აქვთ, რაც სხვა ნებისმიერ ადამიანს. დღის ცენტრიც საზოგადოებაში მათ სრულფასოვან ინტეგრაციას ემსახურება. ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით გარემო პირობები სრულად ადაპტირებულია. დამერწმუნეთ, ამ მომსახურებაში ჩართული ბავშვები სპეციალისტების სწორი მიდგომით ძალიან მალე იგრძნობენ შედეგს," - აღნიშნა ირინე აბდალაძემ.

თეა ბერიძე

მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

## ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობის" თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს

30 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობის„ დირექტორი მიხეილ ჭიპაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა. აღნიშნული ფაქტი კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთათვის უსიამოვნო აღმოჩნდა. 4 დეკემბერს შინმოუსვლელთა მემორიალთან ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის„ თანამშრომლებმა აქცია მოაწყვეს და მიხეილ ჭიპაშვილის სამსახურიდან გათავისუფლება გააპროტესტეს. აქციის მონაწილეებს ,,კეთილმოწყობის„ ყოფილი დირექტორი მიხეილ ჭიპაშვილიც შეუერთდა.

,,პროვოცირება ჩემთან მიმართებაში ახლა არ დაწყებულა, ეს დიდი ხანია, მიმდინარეობს. ვარლამ ჭიპაშვილმა პოლიციაში მიჩივლა, თითქოს მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მივაყენე. დანაშაულის არარსებობის გამო საქმე სამართალწარმოებაში არც შესულა. არმომხდარ ფაქტზე პოლიცია საქმეს ვერ აღძრავდა. ვარლამ ჭიპაშვილმა შეცდომაში შეიყვანა დეპუტატთა ნაწილი და მათი ცრუ ინფორმირება მოახდინა, რის გამოც დეპუტატები საკრებულოს სხდომებს არ ესწრებოდნენ. შემდეგ თავიანთი გადაწყვეტილება შეცვალეს და სხდომაზე შევიდნენ, მაგრამ გამგებლის მიერ გარკვეული ღონისძიებების გატარება მოითხოვეს. ეს ადამიანები, რომლებიც დღეს აქ იმყოფებიან, ითხოვენ პასუხს, რისთვის გამათავისუფლეს სამსახურიდან, რადგან ამის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა„ - აცხადებს მიხეილ ჭიპაშვილი.

განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავაჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი. როგორც ის ჩვენთან საუბარში განმარტავს, მიხეილ ჭიპაშვილი ცრუობს და ცდილობს, გადაფაროს ის არაზნეობრივი საქციელი, რომელიც მის მიმართ განახორციელა.

,,მიხეილ ჭიპაშვილი საღამოს საათებში ჩემს კაბინეტში აგრესიულ და ნასვამ მდგომარეობაში მოვიდა, მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური ძალადობის მცდელობაც ჰქონდა. აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობდა სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან მოკვლევა და, მათი ინფორმაციით, სისხლის სამართლის დანაშაული არ დადასტურდა. თუმცა მუნიციპალიტეტის გამგეობამ ჩაატარა ადმინისტრაციული მოკვლევა. დადგინა, რომ ,,კეთილმოწყობის„ ყოფილი დირექტორის მხრიდან ადმინისტრაციულ გადაცდომას ჰქონდა ადგილი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება„,-აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

საპროტესტო აქციას ეხმაურება მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი.

„ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის„ დირექტორის გათავისუფლება კონკრეტულ შემთხვევასთან იყო დაკავშირებული. როდესაც ა(ა)იპის დირექტორი საკრებულოს წევრს, მანდატის მქონეს, მიაყენებს შეურაცხყოფას, ცხადია, ადეკვატური რეაქცია იქნება. მიხეილ ჭიპაშვილი სამსახურიდან არც პოლიტიკური ნიშნით და არც მისი საქმიანობიდან გამომდინარე არ გათავისუფლებულა. მისი გათავისუფლება ეთიკის ნორმებისა და ქცევის სტანდარტების დარღვევის გამო მოხდა. მას აქვს სრული უფლება, ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს და სასამართლო იმსჯელებს სამართლებრივ მხარეზე. გამგებელს ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების უფლება ჰქონდა და მიიღო. მოსაწონია თუ არა ეს ვინმესთვის, ყველა ვალდებულია, სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდოს და გათავისუფლების ბრძანების ინტერპრეტირება სხვაგვარად არ მოახდინოს . ჩვენ დავიცავთ წესრიგს და სამართლებრივი სივრციდან არავის არ ვურჩევ გასვლას. ყველას აქვს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა, მაგრამ შრომითი ვალდებულებებიც არსებობს, რომელიც ამ სამსახურის თანამშრომლებს გააჩნიათ. მოვუწოდებ, მოიქცნენ გონივრულად და შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. სამუშაო საათებში სამსახურში არყოფნა ჩაითვლება დარღვევად და თითოეული მათგანის მიმართ დაისმება საკითხი . თუ მათ მიაჩნიათ, რომ ყოფილ დირექტორს უნდა უთანაგრძნონ, შემიძლია, დავამშვიდო და განვუცხადო, მეც ვუთანაგრძნობ იმ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელიც მას შეემთხვა. ჩემი ვალდებულებაა, დავიცვა კანონი და კანონით დადგენილი ნორმებით ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ყველას სიმშვიდისაკენ მოვუწოდებ. ხარაგაული ყველა მიმართულებით წარმატებულ მუნიციპალიტეტადაა მიჩნეული და არავის მივცემთ უფლებას მისი იმიჯი შელახოს".

## ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის" დირექტორად თემურ ფურცელაძე დაინიშნა

ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობის" დირექტორად ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების" ყოფილი დირექტორი თემურ ფურცელაძე დაინიშნა. კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, პაატა გოგოლაძემ, წარუდგინა.

შეგახსენებთ, რომ ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობის" ყოფილი დირექტორი მიხეილ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის გამგებელმა თანამდებობიდან 30 ნოემბერს გაათავისუფლა. ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია შემდეგი: „ჩატარებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების შედეგად გამოვლენილ იქნა ა(ა)იპ ხარაგაულკეთილმოწყობის" დირექტორის, მიხეილ ჭიპაშვილის, ქმედებაში ეთიკის ნორმების, ქცევის სტანდარტების დარღვევა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, რითაც არსებითი ზიანი მიადგა საჯარო ინტერესებს".

„ხარაგაულკეთილმოწყობის" დირექტორად თემურ ფურცელაძის დანიშვნით, თანამდებობრივი გადანაცვლება მოხდა. გამგებლის პირველი მოადგილის პაატა გოგოლაძის, ინფორმაციით გადანაცვლება ყოველგვარი კანონის დაცვით მოხდა. „ხარაგაულდასუფთავების" დირექტორად კინოდარ სხილაძე დაინიშნა. იგი დასუფთავების სამსახურში ამ დრომდე მთავარ ინჟინრად მუშაობდა.

# ვარლამ ჭიპაშვილის ინიციატივით ხარაგაულს სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის უფროსი ესტუმრა

სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული პრობლემები ბოლო დროს ძალზე აქტუალური გახდა. ხელმოკლედ მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობას სოციალური დახმარება მოეხსნა. მიზეზი კი შეფასების ახალი კრიტერიუმი გახდა. აღნიშნული პრობლემით ბაზალეთის მაჟორიტარ დეპუტატს ხშირად მიმართავდნენ ამავე თემის მაცხოვრებლები. იმის გამო, რომ მათ თავიანთ კითხვებზე ამომწურავი პასუხი მიეღოთ, ვარლამ ჭიპაშვილის ინიციატივით 24 ნოემბერს ხარაგაულს სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის უფროსი ნინო ჭილლაძე, იმერეთის სამხარეო ცენტრის მთავარი სპეციალისტი ნინო თადუმაძე და კონტროლის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, მონიტორი, კონსტანტინე ცქიფურიშვილი ესტუმრნენ. ისინი ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის იმ ოჯახის წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომელთაც ახალი გადამოწმების შედეგად, სოციალური დახმარება შეუწყდათ და სააგენტოს მიმართ გარკვეულ პრეტენზიებს გამოთქვამდნენ. შეხვედრას ასევე ესწრებოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის რაიონული განყოფილების უფროსი სოციალური აგენტი, თამილა მაჭავარიანი.

ნინო ჭილლაძემ შეკრებილ საზოგადოებას განუმარტა, რომ სოციალური შემწეობის გაცემის მეთოდოლოგია შეიცვალა. „ახალი მეთოდოლოგია 1 მაისიდან შევიდა ძალაში. გადამოწმდა ოჯახები და ახალი სარეიტინგო ქულები მიენიჭათ. ძველი და ახალი მეთოდოლოგია განსხვავდება, ამიტომ მათი შედარება ვერ მოხდება. ახალი მეთოდილოგიის კრიტერიუმები შეიცვალა და მეტი მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელ ფართს, ოთახების რაოდენობას, იატაკის მასალას, მიწას, ავტომობილს, ტრაქტორს და ა.შ. პროგრამა მეტ ყურადღებას აქცევს მრავაშვილიან დედას, მრავალსულიან ოჯახს, მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერს. ძველი მეთოდოლოგია ითავლისწინებდა სოციალური აგენტის სუბიექტურ შეფასებას, ახლა ასე აღარაა,“ - აღნიშნა ნინო ჭილლაძემ.

შეხვედრაზე, მოსახლეობა ერთხმად გამოხატავდა ახალი მეთოდოლოგიის მიმართ უკმაყოფილებას. „სოფლად ყველას აქვს მიწა და საცხოვრებელი ფართი. მნიშვლენოვანი ისაა, რა მდგომარეობა აქვს, რაში იყენებს კუთვნილ მიწას და რა სარგებელი მოაქვს ოჯახისთვის. „სახლი რომ ავაშენე, მაშინ 22 წლის ვიყავი, ახლა 62 წლის ვარ, რა გავაკეთო?“ - აღნიშნა შეხვედრაზე მყოფმა ერთ–ერთმა ქალბატონმა.

სოფელ ქროლში მცხოვრებმა ეკატერინა მაქაძემ შემდეგი სახის საყვედური გამოთქვა: „დედასთან ერთად ვცხოვრობ, რომელიც 83 წლისაა და ავადმყოფობს. ადრე ვიღებდი დახმარებას, მაგრამ ივნისის თვიდან შემიწყდა, გადამოწმებაც არ მეკუთვნოდა, რადგან გასული წლის ოქტომბერში შემამოწმეს. ვფიქრობ, დავიჩაგრეთ, ჩემი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ასე მგონია, ახალი კრიტერიუმები უბრალოდ მოარგეს იმას, რომ, რაც შეიძლება, მეტ ადამიანს მოხსნოდა დახმარება. თუ ამ შეხვედრის შემდეგ ერთ ოჯახს მაინც დაენიშნება დახმარება, ჩავთვლი, რომ შედეგიანი იყო, მაგრამ, მგონი, აქ იმისთვის მოგვიწვიეს, რათა თავაზიანად ეთქვათ - მიბრძანდით, თქვენ დახმარება არ გეკუთვნითო.“

შეხვედრის დასასრულს, სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის უფროსმა, ნინო ,ჭილლაძემ აღნიშნა, რომ ოჯახები, რომელსაც სარეიტინგო ქულა 70 ათასამდე აქვთ შესაბამისად სარგებლობენ სხვადასხვა შეღავათით, რაც მსგავსი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაა გათვალისწინებული. ეს ეხება სამედიცინო დაზღვევას, დენის სუბსიდირების საკითხს და ა.შ.

ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა, სოციალური დახმარების გაცემის წესთან დაკავშრებით ისაუბრა. „პრეტენზიების განხილვისას მნიშვნელოვანი ისაა, რომ არასწორად ხდება ქულების მინიჭება, დახმარება ენიშნებათ ისეთ ადამიანებს, რომელთა სოციალური ფონი არც თუ ისე ცუდია.



აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, მიმემართა ადგილობრივი სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის. მათ მითხრეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, წერილობით მიგვემართა ქუთაისის რეგიონალური სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის. პირადად ვიმყოფებოდი რეგიონალურ მომსახურების საგანტოში, წავიღე ამ ადამიანების განცხადებები და დოკუმენტები, რითაც შესაძლებლობის ფარგლებში ვადასტურებდი მათ სოციალურ ფონსა და სიდუხჭირეს. აქედან გამომდინარე, სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის უფროსთან (ნინო ჭილლაძე) ერთად დავგეგმეთ შეხვედრა ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან. მსურდა ამ ადამიანებს პირადად მოესმინათ სოფლებში არსებული სოციალური მდგომარეობის შესახებ მადლობას ვუხდი ქალბატონ ნინოს სტუმრობისათვის. ვთვლი, დღევანდელი შეხვედრა ნამდვილად ნაყოფიერი იყო.“

თამარ მაღრაძე

# ხარაგაულში სოციალურად დაუცველ ოჯახებს ტანსაცმელი გადაეცათ



საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის„(ხელმძღვანელი მაია კვეზერელი-კოპაძე) ხარაგაულში მორიგი საქველმოქმედო აქცია განახორციელა. მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ინიციატივით საერთაშორისო ასოციაციამ ხარაგაულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ტანსაცმელი გადასცა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან საქველმოქმედო აქციაში 69 ოჯახი ჩაერთო.

25 ნოემბერს საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, იზა ვეფხვაძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ, ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორმა ეკა შავიძემ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ტანსაცმელი პირადად გადასცეს.

ბორითის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ, პირადად მოახდინა მისი სამოქმედო ზონის მცხოვრებთათვის გათვალისწინებული ტანსაცმლის ტრანსპორტირება და გადაცემა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ნათელყოფს იმ მზრუნველობას, რასაც იჩენს ბორითის მოსახლეობისათვის მაჟორიტარი დეპუტატი.

შეგახსენებთ, რომ ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ სხვადასხვა საქველმოქმედო აქციას უკვე 23 წელია ახორციელებს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლიერებას გამოხატავს აღნიშნული ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის მაია კვეზერელი-კოპაძის მიმართ იმ ქველმოქმედებისათვის, რასაც ხარაგაულში ახორციელებენ.



# 3 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დღე აღინიშნა



ათწლეულებია, ყოველ 3 დეკემბერს მსოფლიო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს - შშმ ადამიანების უფლებების, თანასწორობის, ღირსების პატივსაცემად. საქართველოში კვლავაც პრობლემური რჩება შშმ პირთა უფლებების რეალიზაცია, საზოგადოებაში ინტეგრაცია, მათი საზოგადოებრივ სიკეთეებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივი ცნობიერება და ინფორმირებულობის ხარისხი. ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობების შეზღუდვა გამომდინარეობს არა საკუთრივ მათი რესურსებიდან, არამედ გარემოსგან, რომელიც მათ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს. ამით ზარალდება არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემი, არამედ მთლიანად საზოგადოება, რომელიც მათი სახით დიდ ადამიანურ რესურსს კარგავს.

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით 3 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კინოთეატრში, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის (უფროსი ნანა კიკნაძე) ორგანიზებით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შეხვედრა გაიმართა. შშმ ბავშვებისათვის კინოთეატრის სცენაზე, ნაჩვენებ იქნა ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის ბავშვთა დასის მიერ სპექტაკლი „სათაგური“. ხოლო უფროსი თაობისათვის კინოთეატრის ფოიეში გაიმართა სამაგიდო თამაშები დომინოსა და ნარდში. სამაგიდო თამაშებში მონაწილე თითოეულ პიროვნებას სიგელები გადაეცა. რაც შეეხება პატარებს, მათ ნამდვილად ისიამოვნეს სპექტაკლით და ნორჩი მსახიობებისგან სამახსოვროდ ბუშტებიც მიიღეს. ღონისძიების დასასრულს ორგანიზატორები ბენეფიციარებს ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, გამგებლის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, შშმ პირებს ეტლები გადასცეს. ეტლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საერთაშორისო ორგანიზაციამ - ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" (დირექტორი მაია კვეზერელი), - გამოგზავნა.

„ხარაგაული უერთდება და აღნიშნავს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს. ვფიქრობ, ხარაგაულში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. გაიხსნა დღის ცენტრი ბორის სკოლა - პანსიონში, რომელიც უახლოეს დღეებში დაიწყებს ფუნქციონირებას. ასევე ვერტყვიჭალაშიც იგეგმება ანალოგიური ცენტრის გახსნა. ხარაგაული ყოველთვის აქტიური იყო შშმ პირთა დახმარებაში და მომავალშიც გაგრძელდება მათ მიმართ ყურადღება. მათთვის ადაპტირებული ცენტრების და საზოგადოებაში ჩართულობის კუთხით“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლმა.

დარეჯან კავილაძე - ანდრია ბანთაშვილის დედა:

„ანდრიას აქვს ცერებრალური დამბლა. ჩვენ გვერდით ყოველთვის დგას ადგილობრივი თვითმმართველობა. მათ ბევრჯერ გამოგვიწოდეს დახმარების ხელი. დღეს არის შშმ პირთა საერთაშორისო დღე. დიდი მადლობა, რომ ჩვენს შვილებს მოუწყეს ასეთი ლამაზი დღე. მათთვის დიდი საჩუქარი იყო სპექტაკლის ჩვენება. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს მათი უნარების განვითარებას. ჩემს შვილს სპექტაკლი ძალიან მოეწონა. ეს ბავშვები თავიანთ თავს ერთმანეთში ხედავენ. მსგავსი პროექტები მათთვის მნიშვნელოვანია. ულრმესი მადლობა ხარაგაულის გამგეობასა და დღევანდელი დღის ორგანიზატორებს.“

ბაზალეთში მცხოვრებ ბენეფიციარს, ციალა ნანიტაშვილს, მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, შალვა ლურსმანაშვილმა, საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, იზა ვეფხვაძემ, შშმ პირთა საერთაშორისო დღე პირადად მიულოცეს და ეტლი გადასცეს.

თამარ მაღრაძე

# ჯანდაცვის ცენტრი ხარაგაულის მოსახლეობის ინფორმირებას განაგრძობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“ (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) დაავადებათა პრევენციის პროგრამის ფარგლებში აგრძელებს ხარაგაულის მოსახლეობის ინფორმირებას სხვადასხვა დაავადების შესახებ.

2-3 დეკემბერს ხარაგაულის ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის თანამშრომელმა, იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე ნანა ბერაძემ, ლექცია-სემინარები ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკისა და N1საბავშვო ბაღის დარბაზებში გამართა. აღსანიშნავია დამსწრეთა მაღალი აქტიურობა და ჩართულობა. რა არის არტერიული ჰიპერტენზია, რა დამახასიათებელი ჩივილები ახასიათებს მას და როგორ უნდა გავისინჯოთ წნევა, - სწორედ ამ თემებზე ესაუბრა ნანა ბერაძე დამსწრე საზოგადოებას.

მაკა ბუაჩიძე (საბავშვო ბაღის თანამშრომელი): „სრული და გასაგები ინფორმაცია მივიღე არტერიული ჰიპერტენზიის შესახებ. თავად მაწუხებს ეს დაავადება და, სამწუხაროა, რომ მისი მკურნალობის გზების შესახებ აქამდე არასწორი ინფორმაცია მქონდა. პრევენციის მთავარი მიზანი ისაა, რომ ადამიანმა შეიტყოს დაავადების შესახებ, დაფიქრდეს და დაიწყოს ზუსტი მკურნალობა. ეს მიზანი ჩემს შემთხვევაში მიღწეულია. დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს და ჩვენს დღევანდელ ტრენერს, ნანა ბერაძეს.“

ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისათვის ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, ირმა სებისკვერაძემ: „ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი აქტიურად მუშაობს. დაგვიკავშირდნენ და არტერიული ჰიპერტენზიის შესახებ ლექცია-სემინარის ჩატარება შემოგვთავაზეს. მიხარია, რომ ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციასთან ეს პრეზენტაცია შედგა. მინდა, მადლობა გადავუხადო ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის უფროსს ჩვენთან აქტიური თანამშრომლობისათვის.“

მარიანა ბურჯალიანი



# ხარაგაულს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სტუმრობდა



21 ნოემბერს ხარაგაულს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი სტუმრობდა. ბატონი ლევანი ადგილზე გაეცნო საფეხბურთო კლუბ ,,ჩხერიმელას“ ინფრასტრუქტურას და კლუბის შესახებ არსებული პრობლემები მოისმინა. როგორც ლევან კობიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, იგი შესაძლებლობის ფარგლებში რეგიონებში გამართულ მატჩებს პირადად ესწრება და გუნდების პრობლემებს ადგილზე ეცნობა. ამავე დღეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, „ჩხერიმელასა“ და ხობის „კოლხეთს“ შორის გამართულ მატჩს დაესწრო. შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა“ პირველ ლიგაში ასპარეზობს. ამჟამად პირველი ლიგის გუნდებს შორის საქართველოს ჩემპიონატის პირველი სეზონის თამაშები მიმდინარეობს.

ლევან კობიაშვილი - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: ,,მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები ხარაგაულში. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვიცოდე, როგორ არსებობს კლუბი, რა მდგომარეობაა ინფრასტრუქტურის კუთხით. ფედერაციაში რეგიონული ფეხბურთის განვითარებისთვის მომავალში სერიოზული გეგმები გვაქვს, ამიტომ პირადად გავეცანი ,,ჩხერმელაში“ არსებულ პრობლემებს. გუნდს ვუსურვებ წარმატებას. ჩემი სურვილია, „ჩხერიმელამ“ შეინარჩუნოს ადგილი პირველ ლიგაში, რადგან ხარაგაულს ეს ნამდვილად სჭირდება.“

ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე:

„ჩხერიმელა“ ძირითადად მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზეა. მომავალი წლიდან იგეგმება ერთიანი სახელმწიფო ფონდის შექმნა, საიდანაც რეგიონში მოასპარეზე გუნდები დაფინანსდებიან. პირველ ლიგაში მოთამაშე გუნდები ერთნაირ თანხას მიიღებენ, უმაღლეს ლიგაში მოთამაშე - ერთნაირს. მუნიციპალიტეტი მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე იქნება პასუხისმგებელი. ვაპირებთ გუნდის გადახალისებას, შეიძლება დავიმატოთ ახალი ფეხბურთელები. ჩვენი ამოცანაა, რომ საქართველოს პირველი ლიგის ჩემპიონატში „ჩხერიმელამ“ ათეულში დაასრულოს ჩემპიონატი. იმედი გვაქვს, ხარაგაულში, მიუხედავად ოპონენტების ძალიან დიდი ზეწოლისა, ფეხბურთი განვითარდება.

მომავალი წლიდან კლუბთან იარსებებს საბავშვო გუნდი, რაც უფრო მეტ ახალგაზრდას მისცემს სტიმულს, კარგად ითამაშოს ფეხბურთი და მოხვდეს საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელაში“. ბატონ ლევანს პირადად ვთხოვეთ მე და მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა, ჩამობრძანებულიყო, ადგილზე გაცნობოდა სიტუაციას. ენახა, თუ როგორი ენთუზიაზმით ვაკეთებთ ყოველივეს. ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი უნდა გახდეს ფეხბურთის განვითარება, რადგან თუ განვითარდება და სწორი მენეჯმენტი წავა, ფეხბურთი დიდ შემოსავალს მოიტანს ხარაგაულისთვის.“

„ჩხერიმელასა“ და „კოლხეთს“ შორის გამართული მატჩი სტუმართა გამარჯვებით 0:3 დასრულდა. პირველ სეზონში კიდევ ოთხი თამაშია დარჩენილი. კლუბის ხელმძღვანელობა იმედს იტოვებს, რომ ჩხერიმელა პირველ ლიგაში ადგილს ღირსეულად შეინარჩუნებს და მომავალში წარმატებებს მიაღწევს. მეორე სეზონს გუნდი განახლებული შემადგენლობით შეხვდება. პირველი ლიგის გუნდებს შორის საქართველოს ჩემპიონატის პირველი სეზონი დეკემბრის დასაწყისში სრულდება, ხოლო მეორე წრე მომავალი წლის თებერვალში დაიწყება.

# მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის მხარდაჭერით ხარაგაულელ მოხალისეებს ტრენინგი ჩაუტარდათ

27 ნოემბერს „საქართველოს მოხალისის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კოორდინატორების თამარ მაღრაძისა და თამარ კამკამიძის ინიციატივით ხარაგაულელ „მოხალისეებს“ თემაზე - „ნარკომანია“ ტრენინგი ჩაუტარდათ. ლექცია ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ (დირექტორი ეკა შავიძე) სპეციალისტმა მარიანა ბურჯალიანმა წაიკითხა.

რა არის ნარკოტიკი, რა საფრთხე ახლავს ნარკოტიკების მიღებას, საიდან წარმოიშვა და გავრცელდა იგი და როგორ ხდება ნარკომანიის პროფილაქტიკა, - ამ თემებზე ტრენერმა დამსწრეებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. ტრენინგის მიმდინარეობისას „მოხალისეები“ აქტიურად იყვნენ ჩართულები აქტივობებში, შეასრულეს სახალისო სავარჯიშოები და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დისკუსიაში. იმსჯელეს, თუ რა ფაქტორები განაპირობებს ნარკოტიკზე დამოკიდებულებას, რა შედეგამდე მიჰყავს ადამიანი და მისი გარშემო მყოფები მსგავსი საშუალებების გამოყენებას.

მარიანა ბურჯალიანი - მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სპეციალისტი:

„არსებობს თემები, რომლებზე საუბარიც არასდროს არის ზედმეტი. დღეს მოზარდების უმრავლესობა საკმაოდ ინფორმირებულია ნარკოტიკების შესახებ, თუმცა კიდევ ერთხელ ვრცლად ვისაუბრეთ ამ თემის ირგვლივ. ხარაგაულის მოხალისეებთან ერთად საკმაოდ საინტერესო სესია გამოგვივიდა. ბავშვები მაქსიმალურად იყვნენ ჩართულები. ვითამაშეთ საინტერესო თამაშები და ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს.“

თამარ მაღრაძე - „საქართველოს მოხალისის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კოორდინატორი:

„დღევანდელმა ტრენინგმა წარმატებით ჩაიარა. მსმენელები დარწმუნდნენ, თუ რამდენად საზიანოა ნარკოტიკი ადამიანის ორგანიზმისთვის. ვთვლი, რომ მსგავსი აქტივობები მომავალი თაობის სწორად აღზრდის საწინდარი იქნება“. „მოხალისეების“ სახელით მადლობას ვუხდი „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს“ მხარდაჭერისთვის.

№2 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე ლიკა სიხარულიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა - „ძალიან კმაყოფილები ვართ. განსაკუთრებით თამაშები მოგვეწონა. ტრენინგი ძალიან სახალისო და დინამიური იყო. მართალია, ვიცოდით ნარკომანიის შესახებ, მაგრამ უფრო მეტი ინფორმაცია მივიღეთ და კიდევ უფრო ბევრი რამ გავიგეთ. ძალიან კარგია, რომ მსგავსი სახის ტრენინგები იმართება, რაც განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვისაა სასარგებლო.“



# ამო ლა მია სქუოლა, იო ამო ლაშე, იო ამო ჯორჯია!

(ანუ ერთი ლაშელი კარგი ბიჭის ოცნება)

მსმენოდა, რომ ერთი ლაშელი ყმაწვილი ძალიან გატაცებულია იტალიური ენის შესწავლით. მაინტერესებდა, ინგლისური ენის შესწავლის ნამდვილი ბუმის პირობებში, რატომ გამოიკვეთა მასში ესოდენ დიდი სწრაფვა იტალიური ენის დაუფლებისა. მინდა, გაგაცნოთ: ეს ყმაწვილი ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის მერვეკლასელი თორნიკე გელაშვილია.

ჩემი ინტერესის დასაკმაყოფილებლად, უპირველესად, თორნიკეს დედას, ქალბატონ ლია ლომსაძეს, მივმართე:

-მოგეხსენებათ, რომ ყველა ბავშვს უყვარს მულტიპლიკაციური ფილმები,- მიამბობს ქალბატონი ლია. მაშინ თორნიკე სამი წლისა იყო, როცა ერთ-ერთი ასეთი ფილმი ნახა ტელევიზორში და ძალიან მოეწონა. სამწუხაროდ, იმ პერიოდში მდარე ხარისხის სერიალებს უხვად გვთავაზობდა სატელევიზიო პროგრამები, საბავშვო მულტფილმებს კი - ნაკლებად. არ მინდოდა, ჩემი შვილის ყურადღება სერიალებით დაკავებულიყო და დავიწყეთ საბავშვო გადაცემების ძიება სხვადასხვა არხზე და აი, ერთ-ერთ იტალიურ არხზე



(„რაი გულფ“) მიმდინარეობდა მულტფილმი ტყის ცხოველებზე. თორნიკეს, საერთოდ, ძალიან უყვარს ცხოველები, რაღაც საოცარი სიბრალულის გრძნობა ამოძრავებს მათ მიმართ და ძალიან განიცდიდა, როცა მულტფილმი დამთავრდა. მთელი დღე არ მოშორებია იმ არხს - იქნებ კიდევ განმეორდესო. მართლაც, მეორე დღეს, ზუსტად იმავე დროს, კვლავ გაგრძელდა მულტფილმების ჩვენება. ამის შემდეგ სხვა არხით თითქმის აღარც დაინტერესებულა. შევნიშნე, რომ მულტფილმის შინაარსით არ ინტერესდებოდა. ფილმიდან ცალკეულ სიტყვებს მიჯრით იმეორებდა ზეპირად, შემდეგ რვეულში აკეთებდა ჩანაწერს. ცდილობდა, ამა თუ იმ ბგერის გამოთქმას ზუსტად დაუფლებოდა.

დღესაც იგივე გრძელდება და თანდათან ისხამს ხორცს მისი სანუკვარი ოცნება იტალიურ ენასთან მიმართებაში.

***

ამ რამდენიმე ხნის წინ ხარაგაულის რკინიგზის N10 საჯარო სკოლის (ამჟამინდელი შესაძე საჯარო სკოლა) კურსდამთავრებული, ხარაგაულის კულტურის ცენტრის რეჟისორი, ქალბატონი, ლუიზა კიკნაძე, შემომეხმიანა: „იტალიიდან ჩემი და ვლადიმერ გელაშვილის თანაკლასელი, ზიზილო გაბუნია ჩამოსულა. ძალიან უნდა თორნიკესთან შეხვედრა და იტალიურად გასაუბრება. კარგი იქნება, თქვენც თუ შემოგვიერთდებით. რასაკვირველია, ამ სასიამოვნო შემოთავაზებას მაშინვე დავთანხმდი.

მინდა, მკითხველს მივაწოდო ინფორმაცია, რომ ქალბატონი ზიზილო გაბუნია 2001 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს იტალიაში, თავისუფლად ფლობს იტალიურ ენას უმშვენიერეს ენას...

და რაოდენ დიდი იყო თორნიკეს სიხარული, როცა იგი დეიდა ზიზილოს ყოველ კითხვას სხაპასხუპით პასუხობდა. შესაბამისად, ძალიან კმაყოფილი დარჩა ქალბატონი ზიზილოც.

- ნეტავ იყოს შესაძლებლობა, რომ ხშირად გვესტუმროს დეიდა ზიზილო, ცოცხალი სასაუბრო ურთიერთობა ბევრის მომცემია ენის დასაუფლებლად,- დასძენს თორნიკე და შემდეგ ქალბატონ ზიზილოს უჩვენა უნიკალური ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომელიც საჩუქრად მაყვალა მამიდამ ახლახან შეუძინა თბილისში.

- ინტერესი, მონდომება, ნიჭიერება და მიდრეკილება ყველაფერს წყვეტს, ფაქტი სახეზეა. ძალიან ბედნიერი ვარ ჩემი თანაკლასელის შვილის ასეთი შედეგით,-კმაყოფილება ვერ დაფარა ქალბატონმა ზიზილომ.

***

იტალიური ენის დაუფლებისაკენ სწრაფვამ თორნიკეს გაუღვიძა იტალიის ისტორიის შესწავლის სურვილი. განსაკუთრებით ძველი რომითაა დაინტერესებული. ოცნებობს იტალიაში მოგზაურობაზე, რომ საკუთრივ იხილოს ის საოცრებანი, რაც ჯერ კიდევ მონათმფლობელობის დროიდან შეიქმნა აქ და რასაც დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს ცივილიზებული სამყარო.

- ვოცნებობ, ვნახო რომის კოლიზეუმი - ამბობს თორნიკე. იგი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საგანგებოდ აიგო სანახაობათა გასამართად. წიგნებში ამოკითხვითა და ინტერნეტით ვიცი, რომ იგი რომის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ამფითეატრი იყო, რომელიც 50 000 მაყურებელს იტევდა. სახელწოდება ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და კოლოსალურს ნიშნავს. თურმე ეს უზარმაზარი ოთხიარუსიანი



ამფითეატრი სულ რამდენიმე წუთში ივსებოდა მაყურებლით. მის არენაზე გლადიატორთა ბრძოლები, გარეულ ცხოველებთან სიკვდილ-სიცოცხლეთა შეჯიბრებები და სხვა სასტიკი სანახაობანი იმართებოდა. წყლის მილები ისე იყო არენის ქვეშ დამონტაჟებული, რომ არენა უცებ გახდებოდა დიდი აუზი. ამ დროს კი სამხედრო ხომალდების შეჯიბრს უცქერდა მაყურებელი. როგორ ფიქრობთ,- აგრძელებს ინტერესით საუბარს თორნიკე - ეს სანახაობა ერთ-ორ საათში დამთავრდებოდა? არა, კოლიზეუმში გამართული სანახაობა ხშირად რამდენიმე დღესაც კი გრძელდებოდა. განა რბილი სკამები იყო? სკამები ქვის იყო და მაყურებლები ბალიშებით მოდიოდნენ, რომ მოხერხებულად მოკალათებულიყვნენ.

-როცა საკუთარი თვალებით ვნახავ კოლიზეუმს, მაშინ უფრო საინტერესოდ გაგაცნობთ ჩემს შთაბეჭდილებას.

იტალიასთან ერთად საფრანგეთიც ძალიან მაინტერესებს. ეიფელის კოშკთანაც აუცილებლად გადავიღებ სურათს და უეჭველად გაჩუქებთ,- დაგვპირდა ინტერესიანი ყმაწვილი.

***

თორნიკეს იზიდავს სათავგადასავლო ლიტერატურა. ამჟამად ცნობილი შოტლანდიელი მწერლის უოლტერ სკოტის „აივენჰოს“ კითხულობს. ძალიან მოსწონს რიჩარდ ლომგული, მამაცი აივენჰო, მხიარული გურთი, ერთგული ვამბა, ყოველგვარი სიკეთით შემკული რებეკა...

სპორტის სახეობებიდან ჭადრაკსა და შაშს ანიჭებს უპირატესობას...

სიყვარულითა და მადლიერებით საუბრობენ თორნიკეს შესახებ მისი პედაგოგები: კლასის ხელმძღვანელი თამარ მაღრაძე, ნაზი ჭიპაშვილი, ნანა სახვაძე, თამარ სულიაური, მარინე მაღრაძე, ელვირდა გიორგაძე, მაყვალა ნანიტაშვილი, მაყვალა ფერაძე, მარინა ალავიძე, ლია რამინიშვილი, რუსუდან თაბაგარი, მარინა ვეფხვაძე, ნინო ფცქიალაძე, ლია სანიკიძე, ლელა სხილაძე...

მე-2 საჯარო სკოლის დირექტორმა, ვალერი გოგნაძემ აღნიშნა: „თორნიკე გელაშვილი არის ზედმიწევნით მოწესრიგებული და ყურადღებიანი მოსწავლე. მე არაერთხელ დავსწრებივარ მის კლასში გაკვეთილებს. თვალშისაცემია თორნიკეს სიბეჯითე და ანალიტიკური აზროვნების უნარი. რაც ყველაზე მეტად საგულისხმოა, სამაგალითოა მისი დამოკიდებულება თანაკლასელებისადმი. სტკივა და უხარია ყველას ტკივილი და სიხარული. ასეთია იგი პირველი კლასიდანვე. შესაბამისად, ამგვარივე გრძნობით პასუხობენ თანაკლასელებიც.

ნამდვილად შესაშურია თორნიკეს დედის, ქალბატონ ლიას, დედური სითბო და ყურადღება. იგი დაიმედებულია, რომ თორნიკეს სწავლა-აღზრდა სკოლის კეთილმოწყობილ და უსაფრთხო გარემოში მიმდინარეობს.

მჯერა, რომ თორნიკეს დიდი მომავალი ექნება...

***

მშობლების დიდი რუდუნებით, თანამედროვე მედიცინის მიღწევათა წყალობით, თორნიკეს ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. და უფლის მადლით სიყვარულით გულსავსე ლაშელი ყმაწვილი, თორნიკე გელაშვილი, ნამდვილად აისრულებს თავის ოცნებებს: გახდება პროგრამისტი, ეწვევა იტალიას, იქ ზიზილო დეიდა დახვდება. თარჯიმანი არ დასჭირდება. ეწვევიან კოლიზეუმს, პართენონს, ფლორენციისა და ვენეციის საოცრებებითაც დატკბებიან...

ყმაწვილის ოცნება ძალზე შთამბეჭდავია, ღრმა შინაარსის მატარებელია...

- მე მიყვარს ჩემი სკოლა, მე მიყვარს ლაშე, მე მიყვარს საქართველო, - ამო ლა მია სქუოლა, იო ამო ლაშე, იო ამო ჯორჯია! - წარმოთქვამს ყმაწვილი წკრიალა ხმით ხან ქართულად, ხან იტალიურად...

უფალო, შენ დაიფარე თორნიკე გელაშვილი, ღვთისმშობელო, შენი კალთა გადააფარე ლაშელ კეთილ ბიჭს, აასრულებინე ყველა ოცნება და მისი სახით ჩვენს საზოგადოებას შეჰმატე ერთი ზრდილი, განათლებული და მშობელ მიწაში მყარად ფესვგადგმული ჭეშმარიტი ქართველი.

ამინ!

მერი გიორგიძე

# შეხვედრა მწერალ გიზო თავაძესთან

26 ნოემბერს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით სამუსიკო სკოლაში მწერალ გიზო თავაძესთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ორგანიზება ხარაგაულის №2 (დირექტორი ვალერი გოგნაძე) საჯარო სკოლამ გაუკეთა. ღონისძიებას მოსწავლე-ახალგაზრდებთან, პედაგოგებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ხარაგაულის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ლიტერატურულ საღამოზე მოსწავლეებმა პოეტის შემოქმედებიდან ლექსები წაიკითხეს, რამდენიმე მუსიკალური ნომერიც შეასრულეს და პოეტს მისი ბიოგრაფიიდან და შემოქმედებიდან კითხვები დაუსვეს.

გიზო თავაძეს მიესალმნენ და მის მრავალმხრივ შემოქმედებით სამყაროზე ისაუბრეს ქალბატონმა მერი გიორგიძემ, იზა ვეფხვაძემ, იზოლდა ოკრიბელაშვილმა.

,,დღევანდელი დღე ნამდვილად ლამაზი და გამორჩეული იყო ხარაგაულისათვის. მადლობა მინდა ვუთხრა ხარაგაულის რესურსცენტრის უფროსს, ბატონ დავით კიკნაძეს და N2 საჯარო სკოლის დირექტორს, ვალერი გოგნაძეს, რომელთა ინიციატივით გაიმართა საღამო. ხარაგაულს ნამდვილად დიდი ქართველი, პოეტი და შემოქმედი სტუმრობდა, რომელიც თავის შემოქმედებაში იტევს ქართველობას, ღირსებას, ჭეშმარიტ ქართულ სიტყვას. ვფიქრობ, ხარაგაულში კიდევ ერთი ლამაზი დღე შედგა და, რაც მთავარია, ამას ესწრებოდნენ ახალგაზრდები. ბატონმა გიზომ მათ კიდევ ერთი – კარგი ქართველობის მაგალითი მისცა“-აღნიშნა ქალბატონმა იზამ.

ღონისძიების დასასრულს, შთაბეჭდილებები გაგვიზიარა ბატონმა გიზო თავაძემ. ,,ძალიან თბილი და კარგად ორგანიზებული შეხვედრა იყო. ბავშვებმა არაჩვეულებრივი ორატორობით გადმოსცეს ლექსები. აქ ბევრი მეგობარი მყავს და ხარაგაული ერთ–ერთი უსაყვარლესი კუთხეა ჩემთვის. მადლობა ხარაგაულს, ღონისძიების ორგანიზატორებს, ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდებისთვის, რადგან მწერალთან, პოეტთან შეხვედრა, ლექსის წაკითხვა, რაღაც დადებითს აღძრავს მათში და მიმაჩნია, რომ არცერთმა მწერალმა არ უნდა თქვას უარი ბავშვებთან შეხვედრაზე.“

საღამოს მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს №2 საჯარო სკოლის პედაგოგებმა ნინო ბარბაქაძემ, ნაზი ჭიპაშვილმა და რუსუდან თაბაგარმა.

ღონისძიების ბოლოს გამგებლის პირველმა მოადგილემ, პაატა გოგოლაძემ და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ მწერალს მადლობა გადაუხადეს სტუმრობისათვის.

„გიზო თავაძის შემოქმედებას ეროვნული დვრიტა უდევს საფუძვლად, რაც ჩვენთვის, განსაკუთრებით კი მომავალი თაობისათვის, მნიშვნელოვანია.“ - აღნიშნა დავით კიკნაძემ.

# ,,ჭირიმემ“ საქართველოს ,,მან სან ჯანის“ ჩემიონატზე წარმატებით იასპარეზა

27 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში „კავეენში“ საქართველოს რეგიონალური ლიგა მოეწყო. ღონისძიებაში მონაწილეობას სხვადასხვა ქალაქის გუნდები იღებდნენ. მათ შორის იყო ხარაგაულის გუნდი ,,ჭირიმე“, რომელმაც წარმატებით იასპარეზა. გუნდი ნახევარფინალში გადავიდა და ფინალამდე სულ რაღაც ოთხი ქულა დააკლდა.

,,ჭირიმეს“ წევრები დახმარებისათვის მადლიერებას გამოხატავენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მამუკა ჭიპაშვილის მიმართ.



ვულოცავთ ხიდრის მაჟორიტარ დეპუტატს, ნონა ზურაბიანს, ქალიშვილის, ნათია ბერაძის, გაბედნიერებას.

კიდევ ერთი ახალი ქართული ოჯახის მესვეურებს-ნათია ბერაძესა და აჩო ქადაგიძეს ვუსურვებთ მშვიდ და ტკბილ თანაცხოვრებას, შვილთა სიმრავლეს, უფლის მფარველობას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური“ ცენტრი

# კიდევ ერთი საპატიო მისია

ახლახან ძალზე სასიხარულო ამბავი გვეუწყა: რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი, ქალბატონი იზა ვეფხვაძე, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, დავით შემოქმედელის N56 ბრძანების საფუძველზე 2015 წლის 30 ნოემბრიდან დანიშნულია(საზოგადოებრივ საწყისებზე) რუსთაველის საზოგადოების ხარაგაულის ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

ვულოცავთ და გვწამს, რომ ეს კიდევ ერთი საპატიო დიდი მისიაა, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს ქალბატონ იზა ვეფხვაძის უმშვენიერეს შემოქმედებით სამყაროში.

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა და გეგმა დანართი N1-ის სესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

| N | ძირითადი საშუალებების (უძრავი ქონების) ჩამონათვალი | მისამართი | საკადასტრო კოდი | შენობა-ნაგებობის ფართი (კვ.მ) | მიწის ფართი (კვ.მ) | ღირ (ლარებში) | აუქც. პირობები | თანხის გადახდის ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაღაზია მასზე დამაგრებული მიწის ფართით | სოფ. თეთრაწყარო | 36.10.39.008 | 52.36 | 161,00 | 3600 | | ერთი თვე |
| 2 | მაღაზია ჯიხური მასზე დამაგრებული მიწის ფართით | სოფ. თეთრაწყარო | 36.10.39.013 | 21.12 | 65,00 | 1400 | | ერთი თვე |
| 3 | კავშირგაბმულობის საველე ნაგებობა მასზე დამაგრებული მიწით | სოფ. მოლითი | 36.17.33.012 | 31.46 | 92,00 | 1100 | | ერთი თვე |
| 4 | ყოფილი ბოსლის შენობა (დანგრეული) მასზე დამაგრებული მიწით | სოფ. ბაზალეთი (ღარიხევი) | 36.02.32.002 | 132 | 1277,00 | 4400 | | ერთი თვე |
| 5 | ყოფილი ფურნე მასზე დამაგრებული მიწით | სოფ.ხორითი | 36.07.31.005 | 39.06 | 143,00 | 600 | | ერთი თვე |
| 6 | მაღაზიის შენობა მასზე დამაგრებული მიწით | სოფ.ხორითი | 36.07.31.002 | 43,50 | 133,00 | 2700 | | ერთი თვე |
| 7 | ღორეშის ყოფილი საავადმყოფოს დამხმარე სათავსო მასზე დამაგრებული მიწით | სოფ. ღორეშა | 36.06.32.012 | 119,35 | 357,00 | 17200 | | ერთი თვე |
| 8 | ყოფილი ფურნის შენობა მასზე დამაგრებული მიწით | სოფ. ნადაბური | 36.20.32.007 | 116,41 | 326,00 | 4800 | | ერთი თვე |
| 9 | სამჭედლო მასზე დამაგრებული მიწით | სოფ. ნადაბური | 36.20.32.006 | 70,80 | 133,00 | 1900 | | ერთი თვე |
| 10 | საწყობი მასზე დამაგრებული მიწით | სოფ. ნადაბური | 36.20.32.008 | 164,40 | 282,00 | 5800 | | ერთი თვე |
| 11 | ყოფილი დაწყებითი სკოლის შენობა -ნაგებობა მასზე დამაგრებული მიწით | სოფ. ლაშე(ზედა ლაშე)შენობა მიწის ნაკვეთით | 36.04.40.001 | 123.65 | 1526,00 | 9500 | | ერთი თვე |
| 12 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა (სახაჭაპურესთან) | 36.01.33.011 | | 21,00 | 1050 | | ერთი თვე |
| 13 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის მე-2(შესახვევი) | 36.01.31.019 | | 60,00 | 3000 | | ერთი თვე |
| 14 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | სოფ. კიცხი | 36.10.35.005 | | 135,00 | 1215 | | ერთი თვე |
| 15 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | სოფ. კიცხი | 36.10.32.009 | | 350,00 | 3150 | | ერთი თვე |
| 16 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | დაბა ხარაგაული წერეთლის ქუჩა | 36.01.32.009 | | 27 | 1080 | | ერთი თვე |
| 17 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა (დევებთან) | 36.01.31.048 | | 113,00 | 4520 | პირობებიანი აუქციონი | ერთი თვე |
| 18 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა (დევებთან) | 36.01.31.047 | | 149,00 | 5960 | პირობებიანი აუქციონი | ერთი თვე |
| 19 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | დაბა ხარაგაული ძირულის საავტომობილო გზის მე-3 კმ | 36.01.31.049 | | 250,00 | 10000 | პირობებიანი აუქციონი | ერთი თვე |
| 20 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩაზე (საბავშვო ბიბლიოთეკის მიმდებარედ) | 36.01.33.058 | | 84,00 | 4200 | | ერთი თვე |
| 21 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩის დასაწყისში | 36.01.33.057 | | 25,00 | 1250 | | ერთი თვე |
| 22 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | სოფელი ლაშე (ზედა ლაშის მოსაცდელის მოპირდაპირე მხარეს) | 36.04.41.183 | | 200,00 | 2800 | | ერთი თვე |
| 23 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | სოფელი ჭარტალი | 36.17.35.049 | | 500,00 | 3500 | | ერთი თვე |
| 24 | არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი | დაბა ხარაგაული, სოლომონმეფის პირველი ჩიხი | 36.01.31.201 | | 30,00 | 1500 | | ერთი თვე |
| 25 | სახერხი. | სოფელი კიცხი | 36.10.32.016 | 88,60 | 448,00 | 1600 | | ერთი თვე |
| 26 | სახერხი. | სოფელი ლეღვანი | 36.15.40.001 | 100,00 | 613,00 | 1900 | | ერთი თვე |
| 28 | სახერხი . | სოფელი ღარიხევი | 36.02.32.004 | 79,00 | 467,00 | 1600 | | ერთი თვე |
| 29 | სახერხი . | მიროწმიდა | 36.07.33.002 | 119,36 | 722,00 | 5800 | | ერთი თვე |
| 30 | სახერხი. | საბე | 36.07.35.003 | 52.65 | 580,00 | 2700 | | ერთი თვე |
| 31 | სახერხი. | ღორეშა (კვადოური) | 36.06.33.001 | - | 459,00 | 1500 | | ერთი თვე |
| 32 | სახერხი. | ფარცხნალი | 36.09.32.010 | - | 564,00 | 1800 | | ერთი თვე |

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული პიროვნება, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი

მამუკა არევაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



ქეთევან ვეფხვაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

სერგო თაბაგარის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**გამომცემელი** ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
**დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12**